საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 422 შაბათი, მარტის 17 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნისტების ყრილობა

2

პირველი დებულება, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ წინა წერილში (იხ. „ტრიბუნა“ № 421) შემდეგი იყო: მენშევიზმის ლიკვიდაცია, ხოლო კომუნისტების გამაგრება საჭიროა საქართველოს ეკონომიური აღდგენის და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ამ დებულებას შეუძლია აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვიოს ზოგიერთა წრეებში. მაგრამ ის თანდათან ნათელი ხდება ხალხის ფართო მასისათვის. ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ იგი სწყვეტს მთელ რიგ საკითხებს პარტიათა შორის ურთი-ერთობისათვის.

ბევრს გონია, რომ მენშევიკებიც და კომუნისტებიც წარმომდგარნი არიან მარქსისტულ სკოლიდან და მათ შორის დიდი პრინციპიალური და თეორიული განსხვავება არ არის. ეს შეხედულება, აღმოცენებულია დიდ გაუგებრობასა და უვიცობაზე. მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის სრულიადაც არ არის მარტო ტაქტიკური განსხვავება, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. ხსენებული მიმართულებანი თავიდან ბოლომდე სრული, ჩამოყალიბებული პარტიული მიმართულებაა: კომუნისტების ღვაწლი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მძლავრათ აღმართეს რევოლიუციონურ ბრძოლის დროშა, არამედ იმაში, რომ კომუნისტებმა და განსაკუთრებით ლენინმა, შესძლოს სავსებით ნათელეყო მსოფლიოს მუშებისათვის, რომ მენშევიკებს დაახლოვებითი კავშირიც არ აქვსთ რევოლიუციონურ მარქსიზმთან.

მარქსიზმი კარლოს კაუცკიმ გარყვნა რეფორმისტული სულის შთაბერვით და საერთო ვულგარიზაციით. მენშევიკები კაუტსკიანიზმის შვილები არიან, რომლიდანაც კომუნისტები იმიჯნებიან.

რა არის პარლამენტარიზმი, რა არის სახელმწიფო, რა არის დიქტატურა, ეროვნული საკითხი, რა არის იმპერიალიზმი, რა არის კლასთა ბრძოლა, როგორია კაპიტალისტურ სახელმწიფოს განვითარების პროცესში ამ ჟამად, როგორ უნდა გავიგოთ საერთაშორისო რევოლიუციის პრობლემა და სხვა. ერთი სიტყვით ყველა გენერალურ საკითხებში მენშევიკებს და კომუნისტებს შორის არის ამის ძირითადი და საფუძვლიანი განსხვავება.

რასაკვირველია, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ კომუნისტების ყოველი დებულება, მაგ. ეროვნულ საკითხში, საბოლოოდ მისაღები იყო ჩვენთვის, მემარცხენე,ფედერალისტებისათვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის ეროვნული საკითხის დაყენება ჩვენ გვესმის და უფრო მისაღებად მიგვაჩნია ეროვნული საკითხის გადაჭრა კომუნისტების მიერ.

ეროვნული საკითხი დღეს უფრო პრაქტიკული რევოლიუციონური პრობლემაა, ვიდრე თეორიული. ვინც ეროვნულ საკითხს რეაქციას უკავშირებს და რევოლიუციას აშორებს—ის ეროვნული საქმის უდიდესი მტერია. ჩვენ კომუნისტების მთელ რიგ შეცდომებს ეროვნულს საკითხში ანგარიშს უწევთ, ამ შეცდომებს აღვნიშნავთ, და დარწმუნებულნი ვართ, რომ მას გამოასწორებს რევოლიუციის მსვლელობა. კომუნისტები სწორი არიან და მართალნი—ეროვნულ საკითხის რევოლიუციასთან დაკავშირების გამო. აი ამ ძირითად პრაქტიკულ მიზანს და საქმეს ჩვენთვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მენშევიკების მთელ ლაღადისს, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა ატომისტური თეორიაც უარყონ და ორგანიული თეორია მიიღონ.

ვიმეორებთ—მომენტი პრაქტიკის სფეროში სდგას და არა თეორიის. ეროვნული საკითხი რევოლიუციის საქმეა და არა რეაქციის. ობიექტიურად და სუბიექტიურად მენშევიკები რეაქციასთან რიან და ჩვენც ვებრძვით მენშევიკებს არა პერსონალურად, როგორც პირებს, არამედ პარტიას, როგორც რეაქციის ყავარჯენს.

აქედან აშკარაა ჩვენი შეფასება კომუნისტების ზოგადი ეროვნული საკითხისა. ყველამ უნდა იცოდეს: საქართველოს თავისუფლება განხორციელდება საერთაშორისო რევოლიუციის გზით, ან ვერასოდეს განხორციელდება. მენშევიკების გამარჯვება რეაქციის გამარჯვებაა, ესე იგი საქართველოს თავისუფლების დასამარებაა.

ამიტომ ვართ ჩვენ კომუნისტებთან. ამიტომ გვაინტერესებს ჩვენ კომუნისტების ეხლანდელი ყრილობა.

ამ ყრილობიდან ჩვენ გვინდა კომუნისტური პარტია, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდი, გამობრძმედილი, ყოველგვარ შეცდომაზედ გამარჯვებული და განმტკიცებული.

ჩვენი ქუჩა ათას ჭორებს ავრცელებს კომუნისტურ პარტიის შესახებ. ჩვენ გვინდა მეორე ყრილობამ სამუდამოდ მოსპოს ასეთი ჭორები. ჩვენ გვინდა დავიწყება წვრილმანების, მთავარ მოტივების წინაშე, ჩვენ გვმართებს ძველი რევოლიუციების სამწუხარო მოვლენების თავიდან აცილება, რაიცა ერთად ერთი უტყუარი თავდებია რეაქციის სამუდამოთ მოსპობისათვის.

თვით გამაგრება, საკუთარი მთლიანი ფრონტი—აი რა მიგვაჩნია ჩვენ სავალდებულოდ, თუ გვინდა ვილაპარაკოთ მთლიან ფრონტზე უფრო ფართო მასშტაბით.

ამ „საშინაო“ საკითხის შემდეგ ჩვენს წინაშე იშლება მთელი რიგი უფრო საერთო საკითხებისა, რომლის გარკვევა და ჩვენი აზრის გაშუქება საჭირო მიმდინარე ამბების და საკითხების მოგვარებისათვის.

თედო ღლონტი.

ნიის მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობას. „გოლუა“-ს აზრით, თათბირი ლონდონს, პარიზს, რომსა და ბერლინს შორის დაიწყება ჯერ კიდევ თვის დაბოლავებამდე. „ფიგარო“ აღნიშნავს, რომ ლონდონში ის აზრი, რომ აუცილებელია ინგლისის თანამშრომლობა, ამერიკის მომავალ შუამავლობის საქმეში.

### ოკუპაცია უშედეგოა.

ბერლინი. 16 მარტი, „ერდუველ“-ის სიტყვებით, რურის ოპერაციის უშედეგობა ცხადია. ამას ხმარდება აუარებელი თანხები, ხოლო საფრანგეთის მდგომარეობას ეს არაფერს მატებს; ამავე დროს ეროვნული გათვითცნობიერება გერმანიაში იზრდება, ხოლო ანტანტა იშლება იმის გამო, რომ ინგლისი, ისევე როგორც ამერიკა, არ იწონებს ამ ანექსიას.

## ახლო-აღმოსავლეთი.

### ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვა

პარიზი 16 მარტი. პარიზში მიიღესოსმალეთის კონტრ-წინადადებანი, რომელიც მოითხოვს მოკავშირეთა საზავო ხელშეკრულების პროექტის ზოგიერთ მუხლების გაუქმებას და შეცვლას, ოსმალეთის კონტრ-წინადადება გადაეცა საფრანგეთის ექსპერტებს დასკვნისათვის. კვირას საფრანგეთის ექსპერტები მიემგზავრებიან ლონდონში ლორდ კერზონთან დ ინგლისის ექსპერტებთან სათათბიროთ შესაძლებელია, როი ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ იტალიის ექსპერტები.

### ოსმალეთის საკითხი მცხოვრებთა შესახებ

ანგორა. 16 მარტი. გაზ. „ისლიკმალი“ მოწინავე წერილში იხილავს მის მიერ წინათ ძლძრულ საკითხებს ოსმალეთის მცხოვრებთა შესახებ. გაზეთი სწერს: „ოსმალეთის მცხოვრებთა შემცირების საკითხი განცალკევებულია ევროპის სახელმწიფოების ასეთისავე საკითხებისაგან იქ მთავარ როლს თამაშობს ეკონომიური, სოციალური და აღმზრდელობითი ფაქტორი—ჩვენში სულ სხვა საქმეა. თუმცა დაბადებულთა რიცხვი არ კლებულობს, მაგრამ ბავშთა სიკვდილის შემთხვევები და სხვა და სხვა ავადმყოფობა ანადგურებს თითქმის დაბადებულთა ნახევარზე მეტს. ჩვენი ბავშვების ავადმყოფობა არ გავს ევროპის ავადმყოფობას! ამ ავადმყოფობათა მთავარი მიზეზია—უსუფთაობა და გაუნათლებლობა დასავლეთში ბავშთა დაბადების რიცხვი მცირეა დაგვიანებით დაქორწინების გამო ჩვენში ამას ადგილი არ აქვს, რომ ჩვეში რიგიანათ იყოს დაყენებული ახალ დაბადებულთა და გადამდებ სნეულებებით დაავადებულ მოზრდილთა მოვლა, რამდენიმე წელში შეივსებოდა ჩვენში მცხოვრებთა ნაკლულოვანება. სალი ეფენდის წინადადებას, მრავალცოლიანობის და სავალდებულო დაქორწინების შესახებ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. საჭიროა მხოლოდ შეიცვალოს სანიტარული და გიგიენური პირობები, გავრცელდეს განათლება და მაშინ მცხოვრებთა რაოდენობა გაიზრდება.

### ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვა.

პარიზი. 16 მარტი, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში განაგრძობენ ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვას. შესაძლებელია რომ ამის გამო მომხდეს ახლო მომავალში გაემგზავრება ლონდონში.

### ინგლისის პრესის ოპტიმიზმი

ლონდონი. 15 მარტი, ინგლისის საელჩოს მდივანი დაბრუნდა სტამბოლიდან ლონდონში: ოსმალეთის კონტრ-წინადადებებით, როგორც ამტკიცებენ ოსმალებს სურთ ლონდონში ახალი კონფერენციის მოწვევა. ინგლისის პრესა საერთოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი, ფიქრობს რომ ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი ზომიერად არის შედგენილი და შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების განხილვა.

### ინგლისელების დამარცხება.

თეჰერანი. 13 მარტი. ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ინგლისელების მიერ ამასწინად ქურთისტანის შეფად გამოცხადებული შეიხ-მაჰმუდი გადავიდა ოსმალების მხარეზე ინგლისელების წინაალმდეგ ბრძოლის დროს. ბრძოლის შედეგები ჯერ კიდევ გამორკვეული არ არიან.

## შორეულ აღმოსავლეთი.

### უარს ამბობენ ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმებაზე.

მოსკოვი. 16 მარტი, თანახმად ვაშინგტონში მყოფ იაპონიის საელჩოს ცნობებისა, იაპონია უარს ამბობს 1915 წლის ჩინეთ იაპონიის ხელშეკრულების გაუქმებაზე. ეყრდნობოდა რა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებას, ჩინეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა აღნიშნულ ხელშეკრულების გაუქმებას.

### საბჭოთა. საელჩო იაპონიაში.

მოსკოვი. 16 მარტი. იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დასთანხმდეს ცუ-რუგეში საბჭოთა ნახევრათ ოფიციალურ საელჩოს გახსნაზე.

მოსკოვი. 16 მარტი. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ 11 მარტს ამხ. იოფე ინახულეს იაპონიის პარტიების წარმომადგენლებმა კენოსკაიმ და კაკურიტმა, რომლებიც ყველა დიდ გაზეთების წარმომადგენელთა თანადასწრებით, აწარმოებდნენ ამხ. იოფესთან ხანგრძლივ საუბარს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის შესახებ.

## უცხოეთი

### შეკითხვა ირლანდიელთა დატუსაღების შესახებ.

მოსკოვი, 16 მარტი. რამზაი მაკდონალდმა თემთა პალატაში შეკითხვა შეიტანა ინგლისის მთავრობის მიერ მოხდენილ ირლანდიელთა მასსიურ დატუსაღების შესახებ. შეკითხვის საპასუხოთ შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დატუსაღება დაკავშირებულია ირლანდიის რესპუბლიკანელთა მოსალოდნელ გამოსვლის გამო. მინისტრის განცხადების თანახმათ დატუსაღება მოხდა ირლანდიის მთავრობის თხოვნით.

### შეთქმულება დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 16 მარტი. ირლანდიის რესპუბლიკანელთა გადასახლების გამო, „მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ეს ზომა მიღებული იყო ზოგიერთ დოკუმენტების დაჭერის გამო, რომლებიდან სჩანს, რომ შეთქმულება მიმართული იყო არა ირლანდიის, არამედ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

### კონტინენტალურ ბლოკის ეშინიათ.

მოსკოვი, 16 მარტი. გაზეთ „სტარს“-ის კორესპონდენტთან საუბარში დამოუკიდებელ ლიბერალურ პარტიის წევრმა კენვორტიმ განაცხადა, რომ იმ ჟამათ არსებობს ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ კონტინენტალურ ბლოკის საშიშროება ამიტომ ინგლისმა ხელშეკრულება უნდა დასდოს რუსეთთან და მისცეს კრედიტები უკანასკნელთან მოვაჭრე კომერსანტებსა და მექარხნეებს.

### მოსსულიხაკენ მიილტვიან.

მოსკოვი, 16 მარტი. „უნაიტედ პრესა“. იუწყება, რომ ამერიკელი ნავთის საზოგადოებებმა მოახერხეს ხელშეკრულების დადება ინგლისსა და საფრანგეთთან, მოსულის, მესოპოტამიის და სხვა, ინგლისის მანდატის ქვეშ მყოფ ოლქების ნავთის წყაროების ექსპლოატაციაში მონაწილეობის შესახებ.

### გალაშქრება კომუნისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი, 16 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ წინადადება შეიტანა დაიწყოს სამოსამართლო კვლევა. მუშა კომუნისტურ გაზეთის „უმანიტეს“ წინააღმდეგ. მაჟინომ ერთ ერთ წერილში, რომელიც მიმართულია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ, ხედავს საფრანგეთის არმიის შეურაცხოფას და რურის მცხოვრებთა წაქეზებას წინააღმდეგობა გაუწიონ ოკუპანელების მოქმედებას.

### რუსეთთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ.

მოსკოვი, 16 მარტი. საფრანგეთის პრესის ნაწილი ხელახლა უბრუნდება საკითხს რუსეთთან ურთიერთობის განახლების შესახებ კლემანსოს ორგანო „ომ ლიბრი“ მხარს უჭერს მოსკოვში სპეციალურ კომისიის გაგზავნას. გაზ. „ინფორმაციონში“ დაჟინებით მოითხოვს მოსკოვში სავაჭრო მისიის გაგზივნას, გაზეთი „ერ ნუველი“ ფიქრობს, რომ, თუ საფრანგეთს სურს მიაღწიოს გერმანიასთან ნაყოფიერ მოლაპარაკების განახლებას საჭიროა მოლაპარიკება გამართონ მოსკოვთანაც.

### ინტერესი რუსეთის განყოფილებისადმი ლიონის ბაზარზედ.

მოსკოვი, 16 მარტი. ლიონში 14 მარტს ეროვნულ მიპატიჟებით გაიმართა საუზმე, რომელზედაც დაესწრენ საფრანგეთის ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი, უცხოეთის დელეგატები და საბჭოთა დელეგაცია ამხ. სკობელევის მეთაურობით. საუზმის დროს საბჭოთა დელეგაციის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ. საუზმის შემდეგ მრავალ რიცხოვანი ხალხის თანდასწრებით ვაჭრობის მინისტრმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი, რომელზედაც აღმართული იყო საბჭოთა დროშა. პავილიონის შესავალთან გაიმართა მნახველების გრძელი რიგი. რუსეთის ექსპონატები ლიონის ბაზრობაზე დიდ ინტერესს იწვევს.

### ბავარიის რკინისგზელთა შორის მღელვარება იზრდება.

მოსკოვი 16 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ბავარიის რკინისგზელთა მღელვარება იზრდება, რკინისგზელებმა, რკინისგზელთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა და რკინისგზელთა კავშირების წინამძღოლებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელშიაც იმუქრებიან, რომ

## რადიო დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

### დახვრეტა

რომი. 16 მარტი, დიუსელდორფში ფრანგების მიერ საალყო წესების გამოცხადების შემდეგ დახვრეტილ იქნა რამოდენიმე ადგილობრივი მოქალაქე.

### გერმანიის პროტესტი

რომი. 16 მარტი, ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის მთავრობის ნოტა, რომელშიც ის პროტესტს აცხადებს ფრანგების სასტიკ რეპრესიების წინააღმდეგ, რომელიც აზრჩობს მშვიდობიან მოსახლეობას.

### გერმანიის ახალი წინადადება

რომი. 16 მარტი, „დეილი ექსპრესის“ ცნობით გერმანიამ წარუდგინა მოკავშირეების საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის ახალი გეგმა.

### მემაღაროები გაიფიცნენ

ბერლინი. 16 მარტი, ვესტერგოლდის სახელმწიფო მაღაროებში გაფიცვის გამოცხადების შემდეგ გაიფიცნენ აგრეთვე მაღაროს მუშები ბერგმანგლიუკეში და შალზენეში, საიდანაც ფრანგები ფიქრობდნენ დაეწყოთ კოკსის და ნახშირის გამოტანა.

### აუპატიურებენ ქალებს

ბერლინი. 16 მარტი, გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა მიუნსტერში წერილობით აუწყა გენერალ დევინს, რომ ესენიდან დელვიგში მიმავალ გზაზე გაუპატიურებულ იქნა ქალიშვილი.

### გერმანიის ვალი ამერიკისადმი

ბერლინი. 16 მარტი, ვაშინგტონის ცნობების თანახმად გერმანიის ვალი ომის დროს დაზარალებულ ამერიკის მოქალაქეებისადმი და აგრეთვე გერმანიის ვალი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას რეინლანდში მყოფ ამერიკის საოკუპაციო ჯარების შესანახავად, საერთოდ 1 მილიარდ დოლარს აღემატება. ამასთან დაკავშირებით დანიშნულია გერმანია-ამერიკის სასამართლოს სხდომა აღნიშნულ ვალის განსახილველად.

### ძველ პოზიციაზე

პარიზი. 16 მარტი, ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ამ ჟამად გამოიცვალოს თავისი პოზიცია რურის საკითხში.

### საოკუპაციო არმიის გადიდება.

ბერლინი. 16 მარტი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ რურში საფრანგეთის ჯარების რაოდენობა გადიდებულია 15,000 კაცით. „ევრი“ დასძენს, რომ გადიდებული იქნება აგრეთვე ბელგიის ჯარების რაოდენობაც. ამ რიგად საფრანგეთ ბელგიის საოკუპაციო ჯარები შეადგენენ 90,000 კაცს, რასაც უნდა მიემატოს მობილიზაციით გაწვეული 10,000 რკინის გზელი.

### ხმები შუამდგომლობის შესახებ.

ბერლინი. 16 მარტი. გერმანიის პრესა იუწყება, რომ პარიზიდან მიღებულ ცნობებს შუამავლობის შესახებ კომენტარიებს უკეთებენ გერმანიის წრეები, რომლებიც აცხადებენ, რომ საჭიროა დაცდა იმის გამორკვევამდე, რომ შესძლებენ თუ მომავალი შუამავლები თანამედროვე პირობების გათვალისწინებას. აღნიშნულ წრეების აზრით, გერმანიის მთავრობა არავითარ შეთხვევაში არ უარყოფს მოლაპარაკებას, მაგრამ დღემდე მას არავითარი საბუთი არ აქვს. რომ იფიქროს ასეთი მოლაპარაკების შესაძლებლობაზე, ვინაიდან ინგლისს ამ დრომდე არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ მხრივ.

### გერმანელ პოლიციელების დახვრეტა.

ბერლინი. 16 მარტი. რურის ოლქში კვლავ დახვრიტეს ორი გერმანელი პოლიციელი. დახვრეტის მიზეზი გამოურკვეველია.

### მოლაპარაკების შესაძლებლობა.

ბერლინი. 16 მარტი. საფრანგეთის პრესა იხილავს რურის საკითხის გამო საფრანგეთ-გერმა-

თუ უარი უთხრეს მათ დაკმაყოფილებაზე გაბედულ და დაუზოგავ ბრძოლაზე გადავლიან.

**სიკვდილით დასჯის განახლება.**

**მოსკოვი** 16 მარტი. ირლანდიის მთავრობამ 13 მარტს განაახლა სიკვდილით დასჯა. დასჯილია 7 კაცი შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობისათვის და იარაღის შენახვისათვის. ირლანდიაში ხელახლა აღმოაჩინეს იარაღის ფარული საწყობები.

**აღმოსავლეთი გალიცია პოლონეთს ეკუთვნის**

**პარიზი.** 16 მარტი. თანახმად ელჩთა კონფერენციის მიერ ხელმოწერილ ოქმისა აღმოსავლეთ გალიცია პოლონეთს ეკუთვნის.

**ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე**

**ბერლინი.** 16 მარტი. სტამბოლიდან მოსულ ცნობების თანახმად მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად ოსმალეთის წარმომადგენლად დანიშნულია ისმეტ-ფაშა.

**აჯანყება სამხრეთ ამერიკაში**

**რომი.** 16 მარტი „ტაიმს"-ის ცნობით პარაგვაის მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი ვილლარიკა.

**სისხლის მღვრელი შეტაკება ბარსელონაში**

**რომი.** 16 მარტი მადრიდიდან იუწყებიან, რომ ბარსელონაში პოლიციასა და სინდიკალისტებს შორის ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს. მოკლულია 2 სინდიკალისტი. პროტესტის ნიშნად მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

**ტყვეების გაცვლა**

**პარიზი.** 16 მარტი. საბერძნეთისა და ოსმალეთის შორის სამოქალაქო ტყვეების გაცვლა დაიწყება 17 მარტს, სამხედრო ტყვეებისა კი 27 მარტს.

**ინგლისელების ახალი ზრახვები**

**ბერლინი** 16 მარტი. ლონდონში უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება თათბირი სირიის, პალესტინის და მესოპოტამიის „წარმომადგენლების" თათბირი „არამეთის სახელმწიფოების კავშირის" მოწყობის შესახებ.

## რ უ ს ე თ ი.

**ვლადიმირ ილიჩ ლენინის მდგომარეობის შესახებ,**

**მოსკოვი,** 15 მარტი. მეტყველების და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას ემჩნევა თანდათანობითი გაუმჯობესება. ტემპერატურა—36,7, მაჯისცემა—88, კარგი გავსებით. მარჯვენა ფეხის და მარჯვენა ხელის მოძრაობა იმავე მდგომარეობაში.

15 მარტი, დღის 1 საათი. პროფესორები: მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი. პრივატდოცენტი: კოჟევნიკოვი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სამაშკო.

**მზრუნველობა პეტროგრადის მრეწველობისათვის.**

**მოსკოვი,** 16 მარტი. რუსეთის კომპარტიის პეტროგრადის საგუბერნიო კონფერენციამ დაადგინა, მიაქციოს უმაღლეს ორგანოთა ყურადღება პეტროგრადის მრეწველობის საჭიროებებზე.

**ნოტა მექსიკას.**

**მოსკოვი,** 16 მარტი. მექსიკის შეერთებულ შტატების მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილ ნოტაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე ლიტვინოვი ითხოვს ჩამოერთვას დიპლომატიური არქივი ვინმე ბარონ როზენბერგს, რომელიც თავის თავს რუსეთის კონსულს უწოდებს ნოტა აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა მზათ არის აღადგინოს დიპლომატიური კავშირი მექსიკასთან.

— **მეაბრეშუმეთა ყრილობა.** ამ.-კავკ. საბჭოთა რესპუბლიკების მეაბრეშუმეთა ყრილობა გაიხსნება 16 მარტს. ყრილობაზე მოწვეულია წარმომადგენლები: რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქესტანის და სხვა რესპუბლიკების.

— **საგაზაფხულო გამოფენა.** 18 მარტს ახალგაზრდათა კომ. კავშირის კლუბში (ყოფილი სამხედრო ტაძარი), საქართ. ხელოვნების მუშაკთა კავშ. მიერ გაიხსნება საგაზაფხულო გამოფენა მხატვრულ ნაწარმოებებისა.

— **სოციალურ დახმარების სახ. კომისარიატის განახლება.** ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ გამოიმუშავა პროექტი სოციალურ დახმარების სახალხო კომისარიატის განახლების შესახებ.

— **პენსიების მაგივრად.** ამიერებიდან პენსიონერებს პენსიების ნაცვლად მიეცემათ ყოველ თვიური დახმარება და მხედველობაში იქნება მიღებული არა სამსახურის სტაჟი, არამედ პენსიონერის და მთხოვნელის ნივთიერი მდგომარეობა. იმ პირთ, ვისაც ჰყავს შვილები და შეუძლიანთ მშობლების რჩენა ყოველ თვიური დახმარება ესპობათ. თებერვალში გაწმენდის შემდეგ სოციალურ დახმარებიდან გამოირიცხა 17 პირი.

— **ტანსაცმელის მიცემა.** შერეულ კომისიას, რომელიც არსებობდა ამერიკულ კომიტეტთან ტანსაცმელის განსანაწილებლად, შეწყვიტა თავისი მოქმედება ამერიკულ კომიტეტის [illegible] წასვლის გამო.

— **დამოუკიდებელ შრომის პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წესდება.** დამოუკიდებელ შრომის პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წესდება მრავლად გადახალისებულ იქნა და დამტკიცებულია ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიის მიერ.

— **გურიის ნავთი.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა რა სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს მოხსენება ინგლისის ფირმასთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ გურიის ნავთის მრეწველობის საექსპლოატაციოდ, აუცილებელ საჭიროებად სცნო ამ ხელშეკრულების განხორციელება.

— **საქართველოს აგარაკები.** საქართ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სია იმ აგარაკებისა, რომელსაც აქვთ სახელმწიფო ხასიათის მნიშვნელობა: ასეთ აგარაკებად ითვლებიან: 1) ბორჯომი, 2) წყალტუბო, 3) ახტალა, 4) აბასთუმანი, 5) წაღვერი, 6) ცემი, 7) ბაკურიანი, 8) სურამათ... 9) მანგლისი, 10) ბახმარო, 11) ქობულეთი 12) ციხის-ძირი და ბათომის ზღვის პლიაჟი,

# ახალი ამბები.

**სამოქალაქო გადასახადი.** ქალაქის აღმასკომის სალაროში 10 მარტამდე შემოვიდა 22 მილიარდი, 456 მილიონი და 770 ათასი მანეთი.

— **ოზურგეთის საბავშო სახლის სასარგებლოდ.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს 10 მილ. მანეთი საღამოს მოსაწყობად ოზურგეთის საბავშო სახლის სასარგებლოდ, რომლის შეფად ირიცხება აღმასკომი.

— **რძის ნაწარმოები.** ტფილისის აღმასკომის სასურსათო განყოფილებამ მოაწყო რძის ნაწარმოების მიღების საქმე, გერმანელების ახალშენიდან (დიუსელდორფიდან), რომელიც 20—30 პროცენტით უფრო იაფად გაიყიდება ბაზრის ფასებთან შედარებით. მიმდინარე წელს ახალშენი ქალაქს მიაწოდებს 300 ფუთ შვეიცარულ ყველს და 150 ფ. კარაქს.

— **თამბაქოს მრეწველობა საქართველოში.** საქართველოს თამბაქოს ტრესტი დაარსდა 1921 წ. ოქტომბერში. იგი აერთებს 7 თამბაქოს ქარხანას. (ყოფ. ბოზარჯიანის, ენფიანჯიანის, კომეტის, სეილანოვის, საფაროვის, მირი და ბინიათ-ოღლის) ტრესტის განკარგულებაშია აგრეთვე ერთი კოლოფის ქარხანა. 1922 წლის განმავლობაში ხსენებულ ქარხნების მიერ დამზადებული იყო თამბაქო: 910,093 გირვანქა, პაპიროსი 441,644,450 ცალი. ყველაზე საუკეთესო ქარხანად ითვლება ბოზარჯიანის და ენფიანჯიანის ქარხნები. წარსულ წელთან შედარებით თამბაქოს მრეწველობის წარმოება ვითარდება. 1922 წ. დამზადების რაოდენობა 1921 წლისას აღემატება 78,8 პროც.-ით. ტრესტის ნაწარმოებს აქვს გასავალი როგორც საგარეო, ისე შინაურ ბაზარზე.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით აპრილის შუა რიცხვებში გაიხსნება კურსები შემდეგი სახელწოდებით: „აკვანის", რომლის საგანს შეადგენს ჩვილი ბავშვის აღზრდა. მსმენელებათ მიიღებიან ქალები, არა ნაკლებ 16 წლისა შრომის სკოლის კურს დამთავრებულნი. კურსებზე წაკითხებული იქნება ლექციები შემდეგ საგნებში: 1) ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ (პროფ. გოგიტიძე), 2) ანატომია და ფიზიოლოგია (პროფ. ნათიშვილი), 3) რძე და სარძეო სამზარეულო (ექ. თოხაძე), ისტორია დედათა და ბავშვთა დაცვისა (ექ. უგრელიძე), 5) ჰიგიენა (ექ. ბაქრაძე), ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებანი ბავშვის ასაკისა (ექ ნანეიშვილი), პათოლოგიური ანატომია (პროფ. ელენტი), დედობრივ სასქესო ორგანოების ფიზიოლოგია და ანატომია (პროფ. თიკანაძე), 9) ბავშვის ჰიგიენა და მოვლა (ექ. კალანდარიშვილი), 10) ახალ-შობილთა სნეულებანი (ექ. ლორთქიფანიძე), 11) ძუძუ მწოვარ ბავშვთა სნეულებანი (პრ. გოგიტიძე), 12) გადამდები ავადმყოფობანი (ექ. ბალარჯიშვილი) 13) ბავშვთა საზრდოება და კვების ჰიგიენა (გოგიტიძე), 14) ბავშვის სულიერი განვითარება (პრ. ასათიანი). კურსები იქნება სამ თვიანი.

## ეკონომიური ცხოვრება

**თამბაქოს პლანტაციები.** თამბაქოს ტრესტის დადგენილებით, დაწყებული არის მუშაობა წარსული წლის მზგავსათ, სახელმწიფო თამბაქოს პლანტაციებს ორგანიზაციისათვის ლაგოდეხის რაიონში. განზრახულია 300—400 დესიატინის დათესვა.

**ავეჯეულობის ქარხანა.** მუშაობა ახალი ავეჯეულობის ქარხნის მოსაწყობათ ვერის ხიდთან უკვე დამთავრდა; გამართულია მანქანები და დაზგები. ყველა ცეხებმა, გარდა ერთისა, უკვე დაიწყო მუშაობა.

**თამბაქოს ნაწარმოებთა გასაღება.** თამბაქოს ტრესტსა და ცეკავშირს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ამის შესახებ, რათა ყველა კოოპერატიული დაწესებულებანი თამბაქოს ნაწარმოებთ ცეკავშირის საშუალებით იღებდენ. ასეთივე მოლაპარაკება სწარმოებს სამხედრო კოოპერატივებთან.

**ცეკავშირი და „ცენტრო კავშირი".** დამოკიდებულება ცეკავშირსა და „ცენტრო კავშირს" შორის სავსებით გამოირკვა. ცეკავშირი შევიდა „ცენტრო კავშირში". ყველა ოპერაციები ცეკავშირისა რუსეთსა და უცხოეთის ბაზარზე „ცენტრო კავშირის" საშუალებით იწარმოებს. მიუხედავად ამისა ცეკავშირის საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირში ყოფნა ძალაში რჩება.

**ჩეხო-სლოვაკელ მრეწველების წინადადება.** ჩეხო-სლოვაკელ მრეწველების ჯგუფმა წინადადება მისცა მთავრობას შექმნან ერთად სავაჭრო საროწამ საქსოვი, სატყეო მრეწველობის და ვაგონების საამშენებლო საქმეში; ჩეხო-სლოვაკელ მრეწველებს აქვთ კაპიტალი 100 მილიონი ჩეხო-სლოვაკური კრონი.

**ტფილისის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივების ორგანიზაციისათვის.** მთლიანი მუშათა კოოპერატივი შეუდგა ტფილისის პირველყოფილ კოოპერატივების განხილვას, რათა მოამზადოს მასალები ტფილისის მთელი კოოპერაციის. რეორგანიზაციისთვის, მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების საფუძველზე, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის დეკრეტისა.

## პროვინციის ცხოვრება

— **ახალქალაქის წყალსადენი.** დამთავრებული არის წინასწარი მუშაობა ქალ. ახალქალაქის წყალსადენის მოსაწყობად. წყალი მიღებულ იქნა აბლარის წყაროებიდან, რომლებიც იძლევიან დღეში 6 მილიონ ვედრო წყალს; ქალაქის საჭიროებისთვის კი აუცილებელია 100,000 ვედრო წყალი. სწარმოებს ამ წყაროების წყლის ანალიზი. წყალსადენის სიგრძე 8 ვერსი იქნება. წინასწარ გამოანგარიშებულია ხარჯები, რომელიც 50 ათას ოქროს მანეთს უდრის. დაწყებული არის მუშაობა საჭირო საშუალებების, მასალების და თუჯის მილების საზიდად. სამაზრო აღმასკომის დადგენილებით 3140 ფუთი ხორბალი გადადებულია წყალსადენის საჭიროებისთვის. ამის გარდა აღმასკომის დადგენილებით შემოღებულ იქნება სამოქალაქო გადასახადი. ტვირთზიდვის ხარკისგან შემოსული მთელი თანხა ამავე მიზნისთვის იქნება გადადებული.

— **ელექტროფიკაცია.** 8 მარტს ახალსენაკში ჩამოვიდნენ მოსკოვიდან ელექტრო ტრესტის ინჟინრები ამხ. ლოსევი და მინასიანი მათი ჩამოსვლის მიზანია მდ. აბაშის წყალვარდნილის გამოკვლევა, რომელზეც ჰიდრო-ელექტრული სადგურის აგება არის განზრახული.

— **მიწის რეფორმა.** მიწის რეფორმა სენაკის მაზრაში სასწრაფოთ ტარდება. გლეხობა აღფრთოვანებით ხვდება მის გატარებას.

## მუსიკალური მიმოხილვა

**(20 თებერვლიდან—12 მარტამდე)**

ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, გაზეთ „ტრიბუნა"-ს გამოცემის დროებითი შეწყვეტით, მე მომესპო საშუალება თავის დროზე გამეზიარებინა „ტრიბუნის" მკითხველთათვის, მუსიკალური და თეატრალური შთაბეჭდილებანი.

იმ დროს, როდესაც მუსიკალური მიმოხილვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაზეთის შეჩერების მთელ განმავლობაში, სადაც მე მაქვს პატივი თანამშრომლობისა,—იყო ფრიად საინტერესო და ამიტომ საჭიროთ ვრაცხ, მივაწოდო ჩვენს პატივცემულ მკითხველებს ცნობები, სარედაქციო კოლეგიის მიერ ჩემზედ მონდობილ—რეცენზიის სფეროდან.

ამ ხანებში, შექმნილ განსაკუთრებულ პირობების გამო, მე ჩემს მუსიკალურ მიმოხილვას გადმოგცემთ მუსიკალური ფელეტონის სახით.

დავიწყებ სახელმწიფო საოპერო თეატრით, სახელდობრ, ოპერის მსახიობთა საბენეფისო წარმოდგენებით.

ბენეფისების ციკლი დაიწყო მსახიობ ქალი **მუხტაროვას** ბენეფისით, რომელმაც თავისი არტისტიულ დღეობის აღსანიშნავად, ამოირჩია—ტფილისში ყველაზედ პოპულიარული ოპერა ბიზესი „კარმენი". მუხტაროვა ასრულებდა სამთავრო როლს. ქ-ნ მუხტაროვის მიერ „კარმენის" პარტიის შესრულებაზე—მე უკვე მქონდა ნათქვამი მსახიობ ქალის პირველი გამოსვლის დროს. უეჭველია, მომღერალი ქალის რეპერტუარში, ეს პარტია ყველაზე საუკეთესოა. ქ-ნ მუხტაროვას ეს როლი დეტალურათ აქვს დამუშავებული, როგორც ვოკალურათ, ისე სცენიურათაც; მომღერალს შეიძლება არ დავეთანხმოთ მის მიერ ამ როლის სასცენო გაგებაში. მუხტაროვას „კარმენი" ვულგარიულია, ხშირად უხეში კიდეც, თუმცა როლის ასეთი გაგება შეიძლება მივიჩნიოთ მისი საკუთარი სუბიექტიური ხილვათ. კარმენი ხომ სამხრეთის გზნება მორეული ასულია, ისპანიური ტომით სავსე ქალი, ქარხნის მუშა, ქუჩის ბავშვი—ლამაზი, მომხიბვლელი და რასაკვირველია, ყოველგვარ ფაქიზ აღზრდელობითი ელემენტებს მოკლებული. ასეთივე გაგებით უდგება ქარმენის პარტიას ამ როლის შესანიშნავი შემსრულებელი, ცნობილი **მარია გაი.** მომღერალ ქალის მშვენიერმა ხმამ—მშვენიერ შესრულებასთან თანშეწყობით, მოგვცა ბევრი ნათელი ვოკალური დეტალები (მოქ. მთელი პირველი სცენა და განსაკუთრებით—კი მარჩიელობის ადგილი). კარგი იყო დუეტიც ტორრეა-დორთან—უკანასკნელ მოქმედებაში.

როგორც ყოველთვის კარგათ ჩაატარა ხოზეს პარტია **ვ. სარაჯიშვილმა;** ჩვეულებრივი ტემპერამენტი და ჩვეული მუსიკალობა, რა კარგათ მოფიქრებული გრიმი აქვს მსახიობს! უკანასკნელი სცენა, ცირკის წინ, განსაცვიფრებლათ ტრაგედიის მომგვრელია თავისი განცდის რეალობით.

ქ-ნ **ლაბაშიძისამ** მუსიკალურათ ჩაატარა მიქაელას პარტია, თუმცა-ღა ახალგაზრდა მომღერალმა ყურადღება უნდა მიაქციოს გადასავლელ ნოტებს-საშუალოდან მაღალ რეგისტრებზე. მე შევნიშნე ამ ადგილებში ინტონაციის მერყეობა. ეს აუცილებლივ უნდა გასწორდეს. შესანიშნავათ მოხდენილი და ვნება-აჴრილი ტორეა-დორია ბ. ინაშვილი. უსიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მხოლოდ ბ. ბრონმა, რომელიც ორკესტრს დირიჟორობდა. შესაძლებელია, რომ ის ავად იყო, რორემ მე არაფრით არ შემიძლიან ავხსნა სხვა რიგად საორკესტრო აკომპანიმენტის ურიტმობა. ორკესტრი, ხან ქანაობდა, ხან უსწრებდა და ხან რჩებოდა მომღერალთ. კარგად იყო დადგმული ბალეტი. მე მომეწონა ახალი prima-balerina, ქ-ნი სალნიკოვისა თავისი პლასტიურობით. თამაშის დროს კარგათ იცავს მუსიკალურ რიტმს.

საზოგადოებით გავსებულ აუდიტორიის ოვიაციის საგანი იყო მობენეფისე—ქალი. ოვიაციები გაიმართა სცენაზედაც, სადაც მსახიობის „ქანაობა", ისიც სერიოზული სცენაზე, (ვითომდაც უკანასკნელის, აღფრთოვანების ფორმათ) შეუფერებლათ და ულამაზოთ მიმაჩნია.

კონცერტებიდან აღვნიშნავ მხოლოდ **გონიელიონის** liedar abend-ას და 1-ლი კონსერვატორიის მოწაფეთა კომიტეტის მიერ მოწყობილ კონცერტს, რომელიც გაიმართა მათივე ღარიბებს ამხანაგების სასარგებლოთ. მომღერალ ქალის დანიელიანის კონცერტები, ამ ბოლო ხანებში ფრიად პოპულიარული გახდა და მუდამ მრავალ-რიცხოვან აუდიტორიას იზიდავს. ამ მომღერლის უკანასკნელი კონცერტი მიძღვნილი იყო ცნობილ რუს კომპოზიტორებს: ანტონ რუბინშტეინს, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვს, რახმანოვსა და ვასილენკოს. რუბინშტეინს აქვს მთელი ციკლი სპარსულ სიმღერებისა, რომლებიც დაწერილია აღმოსავლეთურ კოლორიტით. მათში ყველაზე მეტათ გამოირჩევა, „ზიულეიკა". ამ სასიმღეროებს, მომღერალი ასრულებს მართლაც საგანგებოთ, სახასიათო ნიუანსებით, (Couleur local). ჩაიკოვსკის ყველა რომანსები კარგათ იქნა შესრულებული, გარდა „ნანა"-სი („Колыбельная песня"). სადაც მეტი სითბო და ლირიული გადმოცემაა საჭირო.

რიმსკი კორსაკოვის ნაწარმოებთაგან ყველაზე საუკეთესოთ იქნა შესრულებული ოქსანას არია, ოპერიდან „შობის წინა ღამე", რომელიც იშვიათად სრულდება საზოგადოთ. კონცერტში მონაწილეობას იღებდა მომღერალი ქალი **ალეინოვა** (Mezzosoparno). ორთავე მომღერლებმა შეასრულეს აგრეთვე რამოდენიმე დუეტი, რომელთაგან აღსანიშნავია, ჭეშმარიტად მხატვრული, პოეტური დუეტი ჩაიკოვსკისა „განთიადი" ქ-ნ ალეინიკოვის ხმა საშუალო სიძლიერისაა და საკმაო მუსიკალობის მქონე. არ შემიძლიან არ აღვნიშნო აქვე ქ-ნ ნინო გრიქუროვას მხატვრული აკომპანიმენტი.

მოწაფეთა კონცერტმა მიიზიდა საზოგადოების არაჩვეულებრივი რიცხვი. კონცერტის მეტად ფართო პროგრამა, რომელიც ნაშუაღამევამდის გაგრძელდა, შესრულებული იყო უმთავრესათ მოწაფეთა საუკეთესო ძალების მიერ, თუმცა პროგრამის ზოგი ნაწილი პროფესიონალურ მსახიობების მიერ იქნა შესრულებული. აღსანიშნავია, მოწაფე ყუმსიაშვილის შესრულება, რომელმაც ვენაძესთან ერთად იმღერეს დუეტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი". ორთავეს საკმაო ლამაზი მასალები აქვს სასიმღეროთ—და ახლო მომავლისათვის იმედს იძლევიან კარგი პროფესიონალური მომღერლებიც დადგენ. მშვენიერი ხმა აქვს მოწაფე ქამკაშვილს. საჭიროა მიაქციოს ყურადღება ხმის ტეხნიკასა და დიქციას.

კარგათ შეასრულა მოწაფემ „მგოსნის" სიმღერა „თქმულებიდან შოთა რუსთაველზე", ხოლო რობერტის არია ჩაიკოვსკის ოპერიდან „იოლანტა" მოითხოვს უფრო აჩქარებულ tempo-ს, მეტ ტემპერამენტსა და უკეთეს ტეხნიკას. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოწაფე ბროვსკის გამოსვლამ (ვიოლინოზე) რომელმაც შეასრულა parapfrase-თი, ოპერა „ფაუსტი"-დან—გუნო-ვენიავსკისა, ზომმერისა, რომელმაც შეასრულა შოპენის სკერცო Cismoll მე არ ვეთანხმები მასი დამუშავების დეტალებში (პედალიზაცია და ფრაზირობა, ზოგან tempo-სი), მაგრამ არ შემიძლიან არ შევნიშნო მდიდარი საფორტეპიანო ნიჭი, მოწაფე ზოიმერისა, რომელიც თხოულობს მხატვრულ დამუშავებას.

ლამაზი ხმებით არიან დაჯილდოებულნი მოწაფე ქალები: ალეინიკოვა, გილბერტი და მამამთავრიშვილი. პროფესიონალებიდან ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალმა ქალმა ბაჯბმა, რომელიც ეხლახან მიიღეს სახელმწიფო ოპერაში და კრიჟანოვსკი. საზოგადოთ კონცერტმა, მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

ამავე ხანებში, მქონდა შემთხვევა, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ მიმოხილვაში, სახელდობრ—სახელმწიფო საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა მესხეთ—ზაქარია ფალიაშვილის ოპერა—„აბესალომ და ეთერი". ამ შემთხვევას მე მთელი რიგი წერილებისა უძღვენი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. განსაკუთრებული, მე მხოლოდ ის შემიძლია ეხლა ვსთქვა, რომ—როგორც საზოგადოება, ისე დირექცია და მსახიობნი საოპერო თეატრისა, სათანადო ყურადღებით მოეპყრნენ ამ მოვლენას. კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც ამ წარმოდგენაზე თვითონვე დირიჟორობდა, მთელი საღამოს განმავლობაში გადაიქცა მხურვალე ტაშის ცემისა და ვაშას შეძახილს ცენტრალურ საგნათ, როგორც მსახიობთა, ისე თეატრალური ადმინისტრაციის, მუშა-მოსამსახურეების საზოგადოებით გაჭედილ აუდიტორიის მხრიდან. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ 1-ლი და მე-2 კონსერვატორიის წარმომადგენელნი—ინსპექტორები ჩემოდანოვი და აბაშიძე. რამოდენიმე სიყვარულითა და გულწრფელობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, სახელმწიფო თეატრის გამგემ ალ. წუწუნავა, ურიგებდა განსაკუთრებულ საჩუქარს ეტლონებს ყველა ამ ოპერაში მონაწილე მსახიობთა და თეატრში მომუშავეთა წარმომადგენლებს.

განახლდა საოპერო სცენაზე ოფენბახის კლასიკური ოპერეტკა „**მშვენიერი ელენე**". ამ ოპ-

## პარტიაში

— კვირას, მარტის 18-ს, დილის 12 საათზე „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარკომიტეტის სხდომა.

## გვალვის კულტი საქართველოში და გრ. როფაქიძის ლონდა.

გვალვას, ანუ გოლვას ძველ საქართველოში თავისი კულტი უნდა ჰქონოდა, რასაც მოწმობს ამა თუ იმ თემში შენახული მისი ნაშთი. მაგალითად გვალვას რო დაიჭერს, სოფლის გოგონები ქართლ-კახეთ იმერეთში აკეთებენ თოჯინას, რასაც ლაზარეს უწოდებენ, კარდაკარ დაატარებენ დიდებაზე და მტერიან.

ახ ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა!
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა.
ღმერთო, მოგვეც ნამი.
ალარ გვინდა მზის თვალი!
ღმერთო, მოგვეც ტალახი,
ალარ გვინდა გორახი!!

კარს მომდგარ ლაზარეს სახლიდან გამოეგებებიან, კვერცხს და ფქვილს მისცემენ გოგონებს, ხოლო თოჯინას, ხანდახან გოგონებსაც გაწუწვენ წყლითა.[1]

აფხაზეთში გვალვის დროს აკეთებენ დედოფალს, იმავ თოჯინას რასაც ძოფუს უწოდებენ, ძველად გოგონები თეთრად დაჩულულ ვირზე შესვამდნენ თოჯინას და წყლისკენ გასწევდნენ, რომ თოჯინა წყალში ჩაეგდოთ, ხოლო თვითონ წყალში ჰყუმპალობდნენ.

ყეენობაც ამ გვარივე კულტია, მხოლოდ ცხენებით, ზოგჯერ ვირითაც, დაატარებენ შავად შემურულ ქალ-ვაჟსა, რომელთაც ბოლოს წყლით გაწუწვენ, მაგრამ თავისი პირველი აზრი დაჰკარგვია და დღეს ამ ჩვეულებას მისდევენ მიუხედავად გვალვა წვიმებისა დიდმარხვის პირველ ორშაბათს, რომელსაც შავ-ორშაბათს უწოდებენ.

ქართლში თოჯინას ნაცვლად სოფლელები ერთ ქალს ამოირჩევენ და კარდაკარ სიმღერით დავლის დროს წყალს გადაასხმენ თავსა.

რაჭაში გვალვის დროს ამოირჩევენ ბიჭსა და გააშიშვლებენ ასე რომ სარცხვენელი აქვს მარტო დაფარული. მერე შემურავენ შავად. აი ასეთ ბიჭს, რომელსაც გონჯას უწოდებენ, დაატარებენ კარდაკარ ცეკვა სიმღერით და წყალს გადაასხმენ მიპარვითა.

აქ მოტანილი მაგალითები გვალვის კულტის ნაშთებისა ცხად ჰყოფს, რომ მზის მცხუნვარების გასანელებლად და გორახის გასატალახებლად მსხვერპლის გაღება ყოფილა საჭირო ხოლო მსხვერპლად შეწირვა სცოდნიათ როგორც ვაჟის, ისევე ქალისა, ვაჟის კი უფრო ხშირად. ეს ხომ ასე უნდა ყოფილიყო, ამტკიცებს ძველი ჩვეულება ვაჟების ჩაკირვისა ციხის საძირკველში, აგრეთვე ვაჟების მსხვერპლად შეწირვა, რაიც ივერიის მეფეს რევ მართალს (186—213 ქრ. შ.) აუკრძალავს.

ზოგიერთი წარმართული კულტი ქრისტიანობის პერიოდში წმინდანების (მაგ. წმ. ელიას და წმ. გიორგის) კულტად ქცეულა. ამის მიხედვით საერთოდ მიღებულია ის აზრი, ვითომც გვალვის დროს დიდებაზე სიარულიც ქრისტიანობის პერიოდში უნდა გადასულიყვეს წმ. ლაზარეზე, მაგრამ ასეთი შეხედულობა შეუქმნია სიტყვის ბგერასა. ლაზარ იგივე დიდება არის. თუ გლოვის ზარია, გვალვის ზარიც უნდა ყოფილიყო და ლაზარ (ლაზარ) ისეთივე სვანური ფორმა არის, როგორც ლაზ (ზან, ჭან), რაჭ (რაჭუ) და ლეჩხუმ, სამივე მომასწავებელი ჭანისა, რომელიც ხმათა ცვლის წესით სხვა და სხვა ნაირათ გასოთქმულა.

გრ. როფაქიძეს გვალვის კულტის ცემაზე დაუწერია ერთმოქმედებიანი დრამა, რომლისთვისაც უწოდებია ლონდა. ლონდა ქალია, რომელიც გვალვის დროს შეწირულ იქმნა მზის დასამწყალობებლად, მაგრამ მასთან ერთად თავი გასწირა მისმა მიჯნურმა თამაზ ბატონიშვილმა. შეხლა სიყვარულის გრძნობისა რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებასთან რაიც თავისი მოქარგულობით საუცხოო სანახავია, აგრეთვე კარგი მიზანსცენა და კარგი თამაში არტისტებისა უნდა იყვეს უმთავრესი მიზეზი, რამაც ძალზე თამოყრილი საზოგადოება ასიამოვნა. ტყუილად არ იხუნჯობდა ზოგიერთი, როს რუსულად დასდგეს ლონდი, შემოსავალი არ ჰქონდაო. მაგრამ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. პიესა რომ უშნო ყოფილიყო, ქართულად დადგმა ღირსებას ვერ შეჰმატებდა.

ავტორს სრული ნება ჰქონდა მსხვერპლად რომ ქალი აურჩევია. მაგრამ გვალვის კულტისავე მიხედვით შეიძლებოდა მსხვერპლად ვაჟიც ყოფილიყო. ამით უფრო დაუახლოვდებოდა ძველ ქართულ წარმართობას და ვაჟისადმი ქალის სიყვარულის მოტივისა, რითაც ერთობ ღარიბია ახალი ქართული პოეზია. სულამითე, სოლომონ ბრძენის ქებათა-ქების გმირი ქალი ნუ თუ გულგრილად შეჰხედავდა განსაცდელში ყოფას თავისი საყვარელი მწყემსი ბიჭისას, რომელსაც ეუბნებოდა, შენი ძუძუები ღვინოზე უმჯობესიაო. ქართულ ელფერს შეჰმატებდა გამოყენება გვალვის ზარისა, რომლის სიტყვებიც ზემოდ მოვიყვანე. ლონდა, ოთარ, თამაზ შეუფერებელი სახელებია წარმართობის დროინდელი ცხოვრებისთვის. მაშინდელი სახელები ჩამარხულია ზოგიერთ გვარში, ან ზღაპარში და ფრთხილად უნდა ვისარგებლოთ.

ლონდა ოპერად უკეთესი იქნება.

პეტრე მირიანიშვილი.

## მუშათა ცხოვრება.

### პროფკავშირებში.

— სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების მუშაობა: კავშირების სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგეების მოხსენების თანახმად ყველა კავშირებში გატარებულ იქნა პროფკავშირთა მე-5 ყრილობის წესდებანი, მაგრამ ზოგიერთ კავშირებში, როგორც მაგალითად: მედიკოსანიტარულ, მეტყავეთა, ტრანსპორტზე მომუშავეთა და სხვათა კავშირებში, საჭირო იყო ამ წესდებების შეფერდება ბევრ წვრილ დაწესებულება—წარმოებებთან. განსაკუთრებით შეუძლებელი იყო ზოგიერთ დაწესებულებებში კოლექტიურ ხელშეკრულების დადება იანვრის განმავლობაში განყოფილება მუშაობდა ამ კოლექტიურ ხელშეკრულების პირობების გამოსამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. 1 იანვრიდანვე კავშირებმა შეუდგნენ მუშათა ხელფასის პირობების გადაშინჯვას. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით იანვარში, რეგისტრაციაში გატარდა საბოლოოდ შემუშავებული ბევრი კოლექტიური ხელშეკრულებანი. საეკონომიო დარგში იანვრის განმავლობაში სატ.-ეკ. განყოფილების მუშაობა მიმართული იყო განსაკუთრებით სამეურნეო ორგანოებში. იანვრის პირველ რიცხვებშივე მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან, სადაც განყოფილებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი გადამწყვეტ ხმის უფლებით აღჭურვილი სატ. ეკ. განყ. წინადადების თანახმად სამეურნეო ორგანოების ფონდის შესაქმნელად—დაბეგრილია მსხვილი წარმოებანი. ეს შემოსავალი შეტანილი იქნება სახ. მეურ. უმაღ. საბჭოსთან არსებულ ფონდში და შემდეგ საჭიროებისამებრ განაწილდება სამეურნეო ორგანოების შორის. ფეიქართა კავშირის შუამდგომლობა სამრეწველო ცალკე ტრესტის დაარსების შესახებ უარყოფილ იქმნა და იგი შევიდა არსებულ საერთო ტრესტში. იანვარშივე გადაშინჯულ იქნა პასუხისმგებელ მუშათა ტარიფი. განყოფილება მთელი თვის განმავლობაში საინსტრუქციო მუშაობას ეწეოდა შრომის დაცვის სფეროში სატ.-ეკონ. განყ.-ას ჰყავს თავისი წარმომადგენელი დამზღვევ კასაში. განყოფილებამ ყველა კავშირებს დაუგზავნა ცირკულიარები, სადაც გაეცნობიან სოციალურ დაზღვევის კანონმდებლობის ნორმებს, როგორც მაგალითად: პენსიონერების და უმუშევართა დახმარების პირობების შესახებ. საბინაო საკითხის მოსაგვარებლად, ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის და ქალაქის აღმასკომი წინაშე აღძრულია შუამდგომლობა საჭირო თანხის გადადების შესახებ ამხ. ლენინის სახელობის მუშა აგარაკის დასასახლებელ ადგილის მოსაწყობად. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილების შემწეობით ამ საქმისთვის გადადებულია 150.000.000 მანეთი. განყოფილებამ აქტიურ მონაწილეობა მიიღო კოოპერაციის კომპანიაში, რათა ყველა პროფკავშირის წევრი გამხდარიყო მუშათა მთლიან კოოპერატივის წევრად და ამ დარგშიც სასურველი შედეგები ყოფილიყო მიხწეული. ამას გარდა სატ. ეკონ. განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია იანვრის განმავლობაში მუშათა დასასვენებელ სახლების მოწყობის საკითხს. ამის გამო დაარსდა სპეციალური კომისია მცოდნე აგრონომ პირებისაგან. ამასთანავე ერთად დაარსდა კომისია მცხეთაში არსებულ დასასვენებელ სახლის ნაციონალიზაციისათვის და შემუშავდა ხარჯთ-აღრიცხვა ამ სახლების რემონტისათვის.

### აფხაზეთის პროფსაბჭოს მუშაობა.

წარსულ თვის იანვრის განმავლობაში აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო კავშირების შორის მუშაობის გასაცხოველებლად. პრეზიდიუმმა მოახდინა სამეულის რეორგანიზაცია. შემუშავდა [illegible] წინასწარ მუშაობისთვის, [illegible] თვის და სხვა. პრეზიდიუმმა დაარსა [illegible] ორგანიზაციო, კულტურულ და სატარიფო ეკონომიურ განყოფილებების წარმომადგენლებიდან, რომელსაც მიენდო კავშირების დათვალიერება, წარსულ საანგარიშო პერიოდში საორგანიზაციო განყოფილებამ მოახდინა ადგილკომების და ქარხკომების ახალი არჩევნები, ამასთან ერთად განყოფილებამ გამოიმუშავა გეგმა საქართველოს პროფსაბჭოს ცირკულიარების გატარების შესახებ ცხოვრებაში. დიდი ყურადღება მიექცა უმუშევართა საკითხს. დაარსდა ფონდი და განსაკუთრებული კომისია უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ დასდო დაწესებულებებთან კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომლის ძალით მუშა-მოსამსახურენი იღებენ ჯამაგირებს საქონლის მანეთის კურსით. განყოფილებამ საქართ. პროფსაბჭოს და ა. კ. შრომის კომისარიატის ყველა დადგენილებანი გაატარა ცხოვრებაში. რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, აქაც მთავარ საკითხად დასმულია წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. დაარსებულია კულტკომისიები, რომელთაც დავალებული აქვთ კულტურულ დარგის ხელმძღვანელობა. ერთად-ერთი ამ მიზნის შემაფერხებელი არის ნივთიერი ხელმოკლეება. წესიერად არის დაყენებული საკლუბო მუშაობა, სადაც დროგამოშვებით ეწყობა აგიტაციები, ლექციები და საღამო-წარმოდგენები. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს მაზრებშიაც.

— ახალქალაქის პროფორგანიზაც. მოქმედება კავშირთა პასუხის მგებელ მდივნების მოხსენების თანახმად, სამაზრო კომიტეტების თაოსნობით წარსული წლის დეკემბრის თვეში მოხდა ყველა სამაზრო პროფორგანიზაციების დათვალიერება გამოირკვა, რომ პროფორგანიზაციების საქმე პროვინციაში ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული. პროფორგანიზაციებს არა ჰქონიათ კავშირი ცენტრთან, ვერ მოუხდენიათ თავიანთ საიდანაც წევრთა აღრიცხვა და პროფორგანიზაციების განყოფილებები სრულიად მოკლებულნი ყოფილან თავიანთ საქმის გასაფართოვებლად საჭირო ახსნა—განმარტებას. ამის გამო განყოფილებები არ ყოფილა კულტურულ განმანათლებელ დარგში სათანადო მუშაობა და ვერც შრომის დაცვის კანონები ყოფილა დაცული. მაზრებში ა. წ. დეკემბრის განმავლობაში არსებობდა შემდეგი კავშ. განყოფილებები. საბჭოთა მუშაკთა, განათლების მუშაკთა, მედიკო-სანიტარულ ხე-ტყის დამმუშავებელთა განყოფილებები. სადაც ირიცხებოდა 300 წევრი.

## ჰიგიენა სოფლად

ლალისყური და საზოგადოთ აქეთი მაზრის სოფლები ჰიგიენის მხრით ვერ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, მაგრამ ვიდრე ამის შესახებ რასმე ვიტყოდე, საჭიროდ ვრაცხ ზოგიერთი ცნობები გაუზიარო მკითხველს თვით ჰიგიენაზე.

ჰიგიენა არის სამკურნალო მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც იკვლევს ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევის საზოგადო მიზეზებს და იმ საშუალებებს, რომლებითაც შესაძლებელია ამ მიზეზების ცუდი გავლენის აცილება ანუ შესუსტება.

ჰიგიენას იცნობდნენ უწინდელი ხალხებიც, მაგალითად, ურიები და ბერძნები. საჰიგიენო ცნობანი და მათი დაცვა თუ შესრულება ისეთ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ ურიების მოწინავე კაცებს, რომ მოსემ ზოგიერთი მათგანი თვით „დაბადებაშიაც“ შეიტანა და დაავალა მღვდლებს (ხახამებს) მათს შესრულებაზე სასტიკად თვალის ჭერა, ასე რომ ამ სახით მღვდლები იმავე დროს საპოლიციო მოხელეებადაც გამოდიოდნენ. ასეთებია, მაგალითად, წინა-დაცვეთა, რადგანაც ამის გარეშე კაცს ადვილად უგროვდება ამ ადგილს უსუფთაობა, რომელიც აჩენს სხვა და სხვა სენს, მეტადრე ცხელ ჰავიან ქვეყნებში. ასეთივეა სუფთად შენახვა ბანაკების გარშემო ადგილებისა (მაგალითად, უწმინდურებათა ჩაფლვით მიწაში), სუფთად შენახვა საშვილოსნო ორღანოთა, მეტადრე რიგების დროს და სხვა...

ასეთივე სავალდებულო ხასიათი ჰქონდა ლიკურგოსის საჰიგიენო კანონებს სპარტაში იმ გარჩევით, რომ ურიებში ყველა ამას რჯულის ხასიათი ჰქონდა და ყოველ ურიას უნდა შეესრულებინა იგინი, ვითარცა ღვთის ბრძანება, ხოლო სპარტაში საზოგადო და სახელმწიფოებრივი მიზანი—ალუზარდოს სამშობლოს ჯან-საღი და ძლიერი მოქალაქემხედრები.

სულ სხვა იყო საბერძნეთის სახელგანთქმულის ჰიპოკრატის ჰიგიენა. იგი მიმართავს თითონ ადამიანის გონიერებას და უმტკიცებს ანუ ურჩევს მას ამა თუ იმ გამოცდილ თუ გამოკვლეულ ცოდნათა შესრულებას სარგებლობას, თუ გინდა, რომ დიდს ხანს იცოცხლო ჯანმრთელობის დაურღვევლათაო.

მაგრამ ნამდვილი ჰიგიენა იწყება მხოლოდ 1844 წლიდან, როცა საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა მიშელ ლევმა გამოსცა პირველი მეცნიერული სახელმძღვანელო ჰიგიენისა. უმთავრესი გარემოება, რომელმაც აიძულა ევროპის მეცნიერნი და მთავრობანი მეტი ყურადღება მიექციათ ჰიგიენისათვის, იყო საშინელი ხოლერობა 1.830 და 1840 წლებში და ყირიმის ომი, რომელმაც ნათლად დაანახვა ყველას, რომ წამლობა ცალკე ადამიანთა სრულიად ულონოა ებრძოლოს საზოგადო სენს, რომ აქ საჭიროა გამოძებნა სენის საზოგადო მიზეზებისა და საზოგადოებრივ საშუალებებისა მათ მოსასპობად, ან შესამცირებლად. ეს იყო და ეს, რომ ევროპის სახელმწიფოებმა დიდი ყურადღება მიაქციეს დაბა-ქალაქების სისუფთავეს, სასმელ წყალს, უწმინდურებათა არხების გაყვანას; უნისტო და ნა-

რეტკის დადგმამ საზოგადოების ცოცხალი ინტერესი გამოიწვია, უმთავრესათ იმის გამო, რომ ოპერეტკა მიდიოდა კონსტანტინე მარჯანიშვილის დადგმითა და mice an scene-თი. თეატრი დაფარული იყო მოზღვავებული საზოგადოებით. არ ვიცი შესაძლებელია, „მშვენიერი ელენეს“ დადგმამ აუდიტორიაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, -თუმცა დიდი აღფრთოვანება და ენტუზიაზმი მე არ შემინიშნავს როგორღაც, მაგრამ პირადათ არ დავფარავ უარყოფით შთაბეჭდილებას. მართლაც, რა ინტერესი შეუძლია გამოიწვიოს ეხლა, ამ ორმოცდაათიოდე წლის უკან, ოფენბახის მიერ დაწერილმა კლასიკურმა ოპერეტკამ, რომელიც თავის დროზე დიდ-ხანს არ ამოშლილა საოპერეტო თეატრების რეპერტუარიდან.

ეხლა ის უკვე საკმაოდ მოძველებული მუსიკაა რომ არ ითქვას არაფერი იმ ინტერეს მოკლებულ შინაარსზე, რომელიც შეიცავს მარტოოდენ პოლიტიკურ ხასიათის სატირას, ფრანგების იმპერატორის ნაპოლეონ მე-III და მისი მეუღლე ულამაზესი, ევგენია მონტიხო ტება-სის საოჯახო ცხოვრებიდან და უკანასკნელის რომანზედ ისპანიელ დესპანთან პარიზში—ჰერცოგ ოლოცაგთან.

აღნიშნულ მუსიკალურ პაროდიის გამო, ოფენბახი პარიზიდანაც—კი გააძევეს მაშინ. როდესაც ცოცხალი იყო, ანა და კიდევ სცოცხლობდა ხალხში ოპერეტკაში მონაწილე პირნი, რომელნიც ძველ საბერძნეთის მითოლოგიურ გმირთა გახელებით იყვნენ გამოყვანილნი, (მენელეი, ელენე, პარის კალკასი, აგამემნონი და სხვანი), ოპერეტკა ძლიერ ინტერესს იწვევდა, მით უმეტეს, რომ მუსიკალური ნომრები არ არიან სიცოცხლეს მოკლებულნი და პიკანტირია, მაგრამ ეხლა ამ ოპერეტამ დაჰკარგა თავისი დანიშნულება და მე მიკვირს, რომ ასეთი დიდი ხელოვანმა, როგორიც არის ბ-ნი მარჯანიშვილი, მოისურვა თავისი სანაქებო ნიჭი ასეთი საარქივო ოპერეტის დადგმაზედ მოეხმარა. მარჯანიშვილმაც-კი ვერ შესძლო თავისი ორიგინალური დადგმით გამოეწვია პიესისადმი ინტერესი. სულ მცირე ჭკუა-მახვილობა—და მცირე სილამაზე. მარჯანიშვილს თავისი დადგმაში—მოქმედება დროის გარეშე აქ გადატანილი. მომქმედნი პირნი ოპერეტაში, ძველი საბერძნეთის მითოლოგიური გმირითა სახელწოდებებით. გამოდიან სცენაზე ვიზიტკასა, ფრაკში და ცილინდრებში, ხოლო მანდილოსან დამები—თანამედროვე ტანთსაცმელებით: ყველა იმათგანი ცდილობს დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ყოველივე ეს ფრიად სასაცილოა და მოხერხებულიც, რომ სცენაზე სრული „სიმხიარულე“ სუფევს და რომ ეს „სიმხიარულე“ უნდა გადაედოს საზოგადოებასაც. მაგრამ... აუდიტორიაში როგორღაც არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს. იქ დუმილია.

მართლაც, რა სიმხიარულე შეუძლია გამოიწვიოს უკვე გამოხუნებულმა „ხუმრობამ“, ან და კიდევ დამძიმებულმა ჭკუა-მახვილობამ-აგამემნონისა ან აიანსებისა. ვილას სჭირია ეს მოკონკურენტე ელენეები და კალხასები, ვილას აინტერესებს აქილლევილგელმ II გრიმში, ვილას უნდა ეს ოთხი „გოროდოვოი“, რომელნიც არც მთისას, არც ბარისას წამ-და-უწუმ აყაყანდებიან: „გაუმარჯოს თქვენო კეთილშობილებავ, ბრწყინვალებავ, ვეცდებით“!.. და სხვა. რა საინტერესოა ბალაგანში ატეხილი მენელეი? სად არის აქ ხუმრობა-მასხარაობის ნიშან-წყალიც-კი? და თუ-კი არის, არის ისეთი მასხარაობა, რომელიც ცირკის საკლოუნო ხასიათს ატარებს და შეუძლია ასიამოვნოს მხოლოდ მოქანდარეთ და უესტეტო მოთხოვნილებათა თეატრალებს. დაბოლოს, ვანაში მობანივე მეფის-ქალი ელენე... შეიძლება აქ ულამაზეს ქალის ტანი იყო მიზანში ამოღებული,—მაშინ სწორედ უადგილოა ან რაღა საჭიროა სანამუსო ადგილების დაფარვა. ან არაა საჭირო ვანნა, ან და უნდა სჩანდეს მთლიანი სიტიტვლე.

ან და კიდევ ულამაზოდ გამოკვეთილი გედი, რომელიც ამჭკნარ გირლიონდებზე ეშვება, და თან აჰყავს ზევით ასეთი სისხოს პატრონი კაცი, როგორიც არის ბ. კავსაძე—(პარისი). რა უნდოდა ამით ეთქვა ბ. მარჯანიშვილს, ის ხომ არა, რომ ელენე ლედასა და გედის ასულია. (ერთ-ერთი ულამაზესი მითოლოგიური ზღაპარი).

ყოველივე ეს მოძველებულია და საკმაოდ ხუმრობას მოკლებული. უფრო მეტად ჭკუა-მახვილობის გარეშე სდგას კოლხასისა და დანარჩენ პერსონაჟის პრეტენზიები. ყველაფერს თან აზის ნაძალადევი ტრიუის სახე. მე ველარ ვიცანი ბ. მარჯანიშვილის მხატვრული ფიგურა.

სუსტად იყო დადგული ბალეტიც, განსაკუთრებით ვაჟები, ყოველგვარი შკოლისა; პლასტიკისა და რიტმის გარეშე მოცეკვავენი. არა, ეს დადგმა სრულიად მიუღწეველია და არც საჭიროა. ასეთი ნიჭიერი შემოქმედის სახე, სასურველია ვიხილოთ ან წმიდა სახასიათო, ნაციონალურ დადგმებში, ან და კიდევ—მაღალ მხატვრული ღირებულების შემოქმედებაში.

საოპერო წარმოდგენებიდან ყველაზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა განახლებულმა ოპერამ ვერდისა „ტრავიატა“-პრიმადონა ქალი პოპოვას საბენეფისოთ. მე უკვე აღვნიშნე გაზეთ „ტრიბუნა“-ს ფურცლებზე ქ-ნ პოპოვას სასცენო ღირებულებანი. საზოგადოებით სავსე დარბაზი გამთბარია მშვენიერი ვოკალური ხმის მომღერალ ქალის სიყვარულით. მთელი საღამოს დაუსრულებელი ოვაციები ეკუთვნოდენ პოპოვას ქალს. ის პირდაპირ ანათებდა, თავისი იშვიათათ კლასიკურათ დაწმენდილი კოლორატურითა და ხმის მხატვრული ტეხნიკით. მოხდენილი ტუალეტი და საგანგებო სცენიური გადმოცემა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მშვენიერი ვოკალური შესრულება აქვს ბ. კრიჟანოვსკის, მომღერალმა მოგვცა საუკეთესო იტალიანური bel-canto.

ვამთავრებ ჩემს ფელეტონს I-ლი კონსერვატორიის უფროსი მასწავლებლის ბ. ჩუგუნოვის (თეორიის კლასი) საღამოთი. უკანასკნელი, მოსკოვის გუბერნიის გლეხის შვილია, რომელიც ეხლა მუსიკის თეორიის გამოჩენილ მცოდნედ ითვლება, გარმონიითა კონტაპუნქტით. თავის საღამოზე ის გამოვიდა, როგორც კომპოზიტორი. შეასრულა რამოდენიმე ვოკალური ნაწარმოებნი, სიმღერები და რომანსები, უსათუოდ აღსანიშნავი მელოდიების სიახლით და სიმარტივით.

ამ საღამოზე, კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მსახიობთაგან ქ-ნმა პანინამ და სპანჭიოლამ. საკვირველი მუსიკალური ხმა აქვს ქ-ნ სპანჭიოლას. სკოლა, ძველი იტალიანურია, მაგრამ მშვენიერი და ble-canto-თი.

პ. ბებუთოვი.

თელ სადგომების აგებას, მცხოვრებლების კვებას საუკეთესო და საკმაო სანოვაგით და სხვა...

ჰიგიენის იდეალი ის არის, რომ შეამციროს უდროვო სიკვდილი, გახადოს იგი მხოლოდ მოხუცებულბის ბუნებრივ მოვლენად, შექმნას და დაამყაროს ისეთი სიცოცხლე, რომელმაც არ იცოდეს ავათმყოფობა და მისგან გამოწვეული ტანჯვანი, რათა შეეძლოს ადამიანს სავსებით სრულ ჰყოს თავისი ყოველი ფიზიკური და გონებრივი-ზნეობრივი ნიჭნი და ძალნი.

ყველაფერს ამას თითქმის მიაღწიეს კიდეც ზოგიერთ დაწინაურებულ განათლებულ ქვეყნებში —ბევრგან თითქმის სრულიადაც მოსპეს ბევრი გადასადები სენი და სხვა.

ჰიგიენის ასეთი ყოვლად-შემძლებლობა იყო მიზეზი, რომ ზოგიერთი მეცნიერნი წინააღუდგნენ ჰიგიენას. "მალტუსი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ კაცობრიობა უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე მისთვის საჭირო საზრდოს მოპოვებაო და ამიტომ უნდა ვისურვოთო, რომ შემცირდეს ბუნებრივი გამრავლება ადამიანებისა, ძალიანათ არ უნდა ავიტკიოთ თავი სიკვდილის შესამცირებლათაო და სხვა ამ გვარი ზღაპრები. ასევე სპენსერი, ჰეკელი და სხვანი ბევრნი შიშობენ, რომ ჰიგიენისა და სამკურნალო მეცნიერების ასეთი წარმატება, რომელიც იცავს და ინახავს სუსტი ადამიანების სიცოცხლეს და მით ამრავლებს მათს რიცხვს და მათს შთამომავლობას, გამოიწვევს კაცობრიობის საზოგადოთ ღონისა და ნიჭების შემცირება-დაკნინებასაო.

შემცდარია ყველა ამათი აზრი მარტო იმ საბუთითაც, რომ, კაცობრიობა თუ მრავლდება, მრავლდება სხვა ათასი საშუალებაც ამ მეტი ხალხის გამოზრდისათვის და დაუსახლებელ ადგილებში თანაბრად დასახლებისათვის, მყარდება სიმდიდრეთა უფრო თანაბრად განაწილება და სხვა. ხოლო, თუ დედამიწა ისე გაივსება ხალხით, რომ ვეღარ დაიტევს და ვეღარ გამოჰკვებს - იგი მას, ეს მაინც და მაინც ისეთს შორეულს მომავალში იქნება, რომ ამაზე ზრუნვა, წუხილი ყოვლად მეტი და უაზროა დღეს. ასევე შემცდარია სპენსერი: თუ ჰიგიენა და მკურნალობა იმ სისრულემდის მიაღწევს, რომ სუსტებს ჯანსაღობას დაუბრუნებს, მით უმეტეს ხომ ჯანსაღიანებსაც გააძლიერებს... გარდა ამისა, რამდენია სუტი და ავათმყოფი, რომ სულის ძლიერებით ასჯერ და ათასჯერ სჯობნიან ბევრ ჯანსაღიანებს?!.. ჩვენი დრო კი, როგორც ყველანი ვხედავთ, გონებრივ და ზნეობრივ ძალებს უფრო საჭიროებს თვისი პროგრესისათვის!.

**იგანე როსტომაშვილი.**

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

1918 წლამდე ვითვლებოდი საქ. სოც.-ფედ—თა სარევ. პარტიის წევრად. შემდეგ კი ვთვლიდი ჩემს თავს უპარტიოდ. დღიდან ამ განცხადებისა ვეწერები საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიაში.

**არჩილ მაქსიმეს ძე ჰელიძე.**

—

ამხ. რედაქტორო!

1912 წლიდან ვირიცხებოდი საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში და ვიზიარებდი პარტიის მემარცხენე ფრთის შეხედულებას, პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ სინამდვილემ დამიმტკიცა, რომ სწორ გზაზედ ადგია მხოლოდ საქ. მემარცხენე სოციალ.-ფედერალ. სარევ. პარტია, რომელსაც საბოლოო მომავალი ეკუთვნის.

დღეიდან მსურს ვიყვე ერთგული წევრი ამ პარტიისა **ი. ხ. ხუცლავა.**

## ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

— **მსახიობების ბენეფისები.** სახელმწიფო ოპერის დირექციამ ბენეფისები მისცა შემდეგ მსახიობებს: მარტის თვეში გაიმართება ალეშკოს, პეტლიაშის, ისეცკის, კავსაძის და ინაშვილის ბენეფისები, აპრილში—ბრონის; კრჟანოვსკის, საბინინის და ვ. ფალიაშვილის. მაისის პირველ რიცხვებში კი შესდგება ვ, სარაჯიშვილის ბენეფისი.

**კ. მარჯანიშვილის დადგმები.** რეჟისორი მარჯანიშვილი ქართულ სცენისთვის ამზადებს ვერფელის ახალ პიესას „სარკის ადამიანი". ეს პიესა ეკუთვნის გერმანელ ნიჭიერ მწერალს, რომელიც დაწერილია გეტეს ფაუსტის ზე-გავლენით და მთავარი მოქმედი პირი განსახიერებაა ახალი ფაუსტის თანამედროვე სოციალურ კოლიზიის ფარგლებში.

პიესამ დიდი ყურადღება დაიმსახურა გერმანიაში და ბერლინის თეატრის სცენაზე დაიდგა 500-ჯერ.

**ლუნაჩარსკის ახალი პიესა.** ლუნაჩარსკიმ დასწერა ახალი პიესა „განთავისუფლებული დონ-კიხოტი". პიესა განზრახულია დაიდგას რუსულ აკადემიურ დრამაში.

**რეჟისორი ვ. მჭედლიშვილი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის რეჟისორი და ხელმძღვანელი ვახტანგ მჭედლიშვილი მიწვეულია მოსკოვის აკადემიურ მცირე თეატრის რეჟისორად.

**სარა ბერნარის ავადმყოფობა,** საფრანგეთის დიდებული მსახიობ ქალი სარა ბერნარი მიუხედავად თავის მოხუცებულობისა (მსახიობი 79 წლისაა) დღემდის განაგრძნობდა სცენაზე გამოსვლას. უცხოეთის გაზეთების ცნობით სარა ბერნარი ავად გამხდარა და მის მდგომარეობას ექიმები საშიშრად სთვლიან.

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრმა დაასრულა თავისი გასტროლები პარიზში. გამოსათხოვარ წარმოდგენისთვის დასდგეს „მეფე თეოდორე იოანეს ძე". დასი გაემგზავრა ამერიკაში. ამერიკელებში დიდ ინტერესს იწვევს მოსკოველი სტუმრების გასტროლები. იმ თეატრში, სადაც შესდგება მოსკ. სამხატვრო თეატრის წარმოდგენები გამოკრულია ანშლანგები.

**პიანისტი ს. რახმანინოვი.** პიანისტი ს. რახმანინოვი ამ ჟამად კონცერტებს მართავს ამერიკაში. ამერიკაში საკონცერტო ტურნეს გათავების შემდეგ ს. რახმანინოვი მიემგზავრება ავსტრალიაში.

**გროსმანის კონცერტი.** მარტის 18-ს, 1-ლი კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ცნობილი „სკრიპაჩის" დავით გროსმანის კონცერტი, უკანასკნელი არის ლაურეტა ვენსკაიას კონსერვატორიიდან, ეხლახან 1-ლი სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელი. საღამოს პროგრამმა ფრიად საინტერესოა. ბ. გროსმანი შეასრულებს ბეთხოვენის შესანიშნავ სკრიპულ კონცერტს, რომელზედაც მან თავისი კონცერტისათვის დასწერა ახალი Cadenzy.

მეორე განყოფილება შეეწირება თვით კონცერტიორის ნაწარმოებებს.

(Terpertunm mobile მენუეტი ოქტავური ეტიუდი). კონცერტზე მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ოპერის მსახიობი ბ. აგრანოვსკი, რომელიც შეასრულებს არიებს ბეთხოვენის საეკლესიო საგალობელთა ციკლიდან, აგრეთვე—შუბერტისა და შუმანის რომანსებს.

# დადგენილება № 87

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საშუალო და დაბალი სასოფლო—სამეურნეო სასწავლებლების დებულების შემოღების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. შემოღებულ იქნეს მთელ საქართველოს მიწა-წყალზე შემდეგი დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საშუალო და დაბალი სასოფლო —სამეურნეო სასწავლებლების შესახებ.

1. სასოფლო—სამეურნეო სასწავლებელთა ქსელს, ესე იგი ამ სასწავლებელთა დაარსებას, შენახვას და გაუქმებას, აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვს განსაზღვრავს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის შენახვა სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის ალრიცხვით.

3. ტეხნიკური პერსონალის შენახვა და სასოფლო მეურნეობის სპეციალურ საგნებში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დამატებითი ხარჯის გაღება სწარმოებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ალრიცხვით.

4. სამეურნეო საოპერაციო ხარჯების გასტუმრება მოხდება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ალრიცხვით.

5. საერთო სამეცნიერო-საპედაგოგიო ხელმძღვანელობას, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მასწავლებლების დანიშვნას და გადაყვან-გადმოყვანას აწარმოებს, მიწათ-მოქმედების კომისარიატთან შეთანხმებით, განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

6. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა გამგეებს ასახელებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი. სასწავლო ნაწილში გამგენი ემორჩილებიან განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო სამეურნეო ნაწილში—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

7. მოწყობა პრაქტიკული მეცადინეობისა, მოკლე ვადიანი სპეციალური კურსებისა, ლექციებისა და სკოლის გარეშე მთელი მუშაობისა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად რჩება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და სწარმოებს მისი ალრიცხვით, განათლების სახალხო კომისართან შეთანხმებით.

8. ამა დებულების განსამარტებლად განათლების სახალხო კომისარიატს ევალება. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ.

II. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივნისის 28 თარიღით და 46 ნომრით გამოცემული დეკრეტის ის ნაწილი, რომელიც ამ დადგენილებას არ ეთანხმება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
**ალ. ხალარიძე.**

1923 წ. მარტის „ 10 „

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 83.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ვინაობის წიგნაკების შემოღების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა და აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთა პირადობის შესამოწმებლად შემოღებულ იქნეს ვინაობის წიგნაკები ამა დადგენილებასთან ერთად დამტკიცებული ფორმისა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მოვალეა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების დროს თან იქონიოს ვინაობის წიგნაკი.

ტფილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათომის მცხოვრებნი მოვალენი არია წიგნაკები იქონიონ ამ ქალაქებში ყოფნის დროსაც.

3. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება მაზრა ან მაზრიდან გამოყოფილი ქალაქი (ტფილისი, ფოთი), რომელთანაც მოქალაქე დაკავშირებულია: ქონებით, ოჯახით, სამსახურით ან სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

5, ვინაობის წიგნაკი მიეცემა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს; ერთ წიგნაკში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ქმარი, ცოლი და წიგნაკის პატრონის ოჯახის არასრულწლოვანი წევრბი.

6. უვადო წიგნაკი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც თავისუფალია სამხედრო ბეგარით გაწვევისაგან, ან ვისაც ეს ბეგარა მოხდილი აქვს; ხოლო ვადიანი წიგნაკი—ყველა დანარჩენს.

უკანასკნელ შემთხვევაში წიგნაკის ვადა არ უნდა გადასცილდეს იმ დროს, რა დროსაც წიგნაკის პატრონი მოვალეა სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადდეს.

7. ვინაობის წიგნაკების დამზადება დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მისი განკარგულებით და კონტროლით წაგნაკები უნდა დაეგზავნოთ სათანადო ორგანიზაციებს მთლად რესპუბლიკაში.

8. ვინაობის წიგნაკის გაცემის დროს მის მიმღებს უნდა გადახდეს წიგნაკის დამზადებისათვის გაწეული ხარჯი.

9. ამა დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10. ვინაობის წიგნაკების გაცემა დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

11. ვინაობის წიგნაკების გაცემის შემდეგ ძალას ჰკარგავს ყოველგვარი პასპორტი და პირადობის დამამტკიცებელი სხვა საბუთი; ხოლო სამსახურის მოწმობა და მანდატი სახელმწიფო, საზოგადო და პარტიული ორგანიზაციების მოსამსახურეთა, საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგება.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**შ. ელიავა.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
**ვეგეშკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
**ალ. ხალარიძე.**

1923 წ. მარტის „ 10 „.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** სხვა და სხვა დოკუმენტებთან ერთად პირადობის მოწმობა მოცემული სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებიდან № 13 და პარტიული ბილეთი საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის კომიტეტიდან მოცემული, № 135. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**ჩილიკაძე.**

395

# განცხადება

## ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა მმართველობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვოგზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

## ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ა

1923 წ. 1 აპრილიდან

**1 კლასის ბუფეთების იჯარით გაცემის შესახებ შემდეგ სადგურებზედ:**

ბათომი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური.

**მე-2 კლასის ბუფეთები შემდეგ სადგურებზედ:**

ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყიბული, ხრესილი, ძირული, ხეთა, ხაშური, ქარელი, ავჭალა, იორი, ვაზიანი, წყნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბადიაური.

**სავაჭრო დარაბები (ბუტკები) შემდეგ სადგურებზედ:**

სამტრედია №№ 1. 2. 3. რიონი № 1. მუხიანი, ხრესილი, ძირული, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბათოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2, ნავთლუღ-კახეთის, ალტაღლია, მუკუზანი, ციხის-ძირი.

**საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზედ:**

ნატანები, სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი.

ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში ვალდებულნი არიან ან დახურულ კონვერტებით ჩაუშვან ყუთებში, რომელიც სპეციალურად გამოკრულია საბჭოს დარბაზის კარებთან ან გამოგზავნონ ფოსტით თავის დროზედ. კონვერტებზედ, რომელნიც მიღებულ იქნება, როგორც პირადათ, ისე ფოსტით, აღნიშნულ უნდა იქნეს შემდეგი; „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეთებისა, დარაბებისა და საპარიკმახეროებისა". განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რისი აღების მსურველი არის და რას გადაიხდის წლიურად ოქროს მანეთებში.

განცხადებას თან უნდა ახლდეს: 1. კვიტანცია გადასახადის შეტანისა არა ნაკლების 10 პროცენტისა განზრახულ საიჯარო გადასახადისა. ვისაც სურს რამდენიმე საქმის აღება, ის ვალდებულია ცალ-ცალკე შემოიტანოს განცხადება აღნიშნული წესით და პროცენტებიც. 2. შემოტანილი განცხადებანი უნდა იყოს გადახდილი სალერბო გადასახადით. იჯარით გაცემის დროს მმართველობა ხელმძღვანელობს არა მარტო განცხადებაში აღნიშნული გადასახადით, არამედ რკ. გზის მეურნეობის ინტერესებით.

3.—ის პირნი, რომელთაც ეხლა აქვთ იჯარით აღებული ბუფეტები, დარაბები (ბუტკა) და საპარიკმახეროები და არა აქვთ შემოტანილი სრულებით საიჯარო გადასახადი ა.წ. 1 მარტამდე არ დაიშვებიან საიჯარო ვაჭრობაში.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება ყოველდღიურად 10—11 საათამდე დილით, გარდა უქმე დღეებისა გზათა მმართველობაში (ტფილისი, ვოგზალის ქ. № 1. ოთახი № 64.)

№ 299 (3—2)

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ ა. წ. 24 მარტისათვის დანიშნული. შეჯიბრება რკინის გზაზედ ახალი **ავტომობილების** მილებისათვის ვისაც სურს მონაწილეობის მიღება შეჯიბრებაში, ვთხოვთ დაბეჭდილ კონვერტებში წარმოადგინონ ა. კ. რ. გ. ს.

არა უგვიანეს 24 მარტის, 12 საათისა, რომელშიაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწვრილებით ფასი, მარკა და ტონაჟი.

**საჭირო არის 10 საბარგო ავტომობილი 3—4 ტონის**

„ 2 ნახევრად საბარგო 1 ნახ. ტონის

„ 3 მსუბუქი,

№ 298 3—2.

## ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, მარტის 20-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის შემდეგ სასწორებისა:**

1) თათრის მოედანზე, 2) დესიმონოვის მოედანზე, 3) მუხრანის ბაზარზე და 4) ნუნუფაროვის ბაზარზე. ყოველივე ცნობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

297 6—3 **გადასახადთა ბიურო.**

ტირაჟი 1 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრონზენშტეინის ქუჩ. № 2.